ხელშეკრულება № 11

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქუთაისი 15 თებერვალი, 2022 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ანდრია რაზმაძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N 41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ გენადი მარგველაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ორგსერვისი“ (შემდგომში - მიმწოდებელი) მისი დირექტორის ხ. ნემსაძის სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია საკანცელარიო საქონლის **(CPV: 22800000 – 139.60 ლარი; 30100000 – 582,8 ლარი; 39200000 – 23,2 ლარი და 44400000 – 54,4 ლარი)** შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს **800 (ერვაასი ლარი და 00 თეთრი)** ლარი.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

2.3. დაფინანსების წყარო: **სახელმწიფო ბიუჯეტი**

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.4. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მატერიალურტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი ----------

3.5. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სკოლის დირექტორის მ/შ დავით ნიშნიანიძე

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 2022 წლის 17 თებერვლის ჩათვლით შემსყიდველის მისამართზე (ქ. ქუთაისი,რუსთაველის ქ №127).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე

ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.
5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;
ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.
6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.
7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

უხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2022 წლის 30 მარტის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

სსიპ ა.რაზმაძის სახელობის ქ.ქუთაისის ს №41ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა
ს/კ 212708202

მის: ქ. ქუთაისი,რუსთაველის №127

ტელ:

საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,,თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი TBCBGE22
ა/ა GE26TB03 668 340 801 000 02

დირექტორის მ/შ

_____ **გენადი მარგველაშვილი**

(ხელმოწერა) ბ.ა

მიმწოდებელი:

შპს ორგსერვისი

მისამართი: ქ. ქუთაისი. ი. ჭავჭავაძის N51/2ა
ტელეფონი:

საიდენტიფიკაციო კოდი: 212693851
საბანკო რეკვიზიტები:

პროკრედიტ“ ბანკი
საბანკო კოდი: MIBGGE22

ანგარიშსწორების ანგარიში:

GE 28 PC0133600100067722

შპს ორგსერვისი **ხ. ნემსაძე**

Khvicha Nemsadze 62004014898

Digitally signed by Khvicha Nemsadze
Date: 2022.02.16 10:00:52

ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. შესყიდვის ობიექტია შემდეგი მასალები:

№	დასახელება	განზომ.ერთეული	რაოდენ.	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო (ლარი)	CPV-კოდები
1.	სკოჩი ორმხრივი 18მმ/25მ LAMIGO	ცალი	7	3	21	44424200
2.	სკოჩი გამჭვ. 15მმ*20მ პატარა	ცალი	12	0.3	3.6	44424200
3.	სკოჩი გამჭვ. 45მმ*300მ	ცალი	2	11.9	23.8	44424200
4.	სტეპლერის სკობი AXENT 4312-A 24/6, 1000ც.	ცალი	5	1.2	6	44424200
5.	სტეპლერის სკობი PAPIRUS OPTIMA, #10, 1000ც 40355	ცალი	5	0.5	2.5	30124400
6.	ჩასანიშნი ფურცელი წებ. ზოლით AXENT 2324-00-A 75*75მმ 450ფ	ცალი	2	6.9	13.8	30196200
7.	ჩასანიშნი ფურცელი წებ. ზოლით AXENT 2327-70-A 75*75მმ 400ფ	ცალი	3	6.8	20.4	30196200
8.	ჩასანიშნი ფურცლები ERA 90*90 80გრ. თეთრი	ცალი	10	2.8	28	30196200
9.	ჩასანიშნი ფურცლები წებ. ზოლით PAPIRUS OPTIMA 25516 75*75მმ, 100ფ, 5ფერი	ცალი	2	1.3	2.6	30196200
10.	კლიპი DELI 8556 ფერადი 15მმ.	ცალი	120	0.1	12	30192700
11.	კლიპი DELI 8555 ფერადი 19მმ.	ცალი	200	0.15	30	30192700
12.	ჩასანიშნი ფურცლები წებ. ზოლით PAPIRUS OPTIMA 25517 50*50მმ, 250ფ.	ცალი	2	1.7	3.4	30196200
13.	კლიპი 80041 41მმ შავი	ცალი	48	0.35	16.8	30192700
14.	სკრეპი ლითონის DELI 39718 25მმ. 100ც.	ცალი	2	0.6	1.2	30192700
15.	სათლელი KITE K20-167	ცალი	4	0.5	2	30192100
16.	ფანქარი უბრალო Koh-i-noor 1900 2B TOISON D'OR 190002B00509	ცალი	4	1.5	6	30192130
17.	ფანქარი უბრალო Koh-i-noor 1860 2B 186002B00104	ცალი	9	0.8	7.2	30192130
18.	კალამი ბურთულიანი PAPIRUS ECONOMIX 10197 Iceberg ზეთოვანი	ცალი	1	0.25	0.25	30192121
19.	კალამი ბურთულიანი Schneider Reco M 1318/10/11/49/50 305442	ცალი	1	4.5	4.5	30192121
20.	კალამი ბურთულიანი PAPIRUS ECONOMIX 10247 Tropic ზეთოვანი	ცალი	50	0.3	15	30192121
21.	კალამი ბურთულიანი Staedtler stick 430 M წითელი 430 M-2	ცალი	10	0.9	9	30192121
22.	საქაღალდე სამაგრით პლასტ. PAPIRUS ECONOMIX A4 31204	ცალი	5	0.7	3.5	22852000
23.	ანტისტეპლერი AXENT 5550-A	ცალი	2	1.3	2.6	30197321
24.	კორექტორი კალამი AXENT 8მლ. 7002-A	ცალი	5	1.1	5.5	30192160

25.	ფარგალი სასკოლო Yalong 88113	ცალი	5	5.3	26.5	30192700
26.	ფარგალი სასკოლო WB-705	ცალი	1	6.5	6.5	30192700
27.	მარკერი ტექსტის მოსანიშნი Staedtler Textsurfer Classic violet 364-6	ცალი	2	3.2	6.4	30192125
28.	მარკერი ტექსტის მოსანიშნი Staedtler Textsurfer Classic blue 364-3	ცალი	2	3.2	6.4	30192125
29.	მარკერი ტექსტის მოსანიშნი Staedtler Textsurfer Classic red 364-2	ცალი	2	3.2	6.4	30192125
30.	მარკერი ტექსტის მოსანიშნი Staedtler Textsurfer Classic yellow 364-1	ცალი	2	3.2	6.4	30192125
31.	მარკერი ტექსტის მოსანიშნი Staedtler Textsurfer Classic green 364-5	ცალი	2	3.2	6.4	30192125
32.	მარკერი ტექსტის მოსანიშნი Staedtler Textsurfer Classic orange 364-4	ცალი	2	3.2	6.4	30192125
33.	მარკერი ტექსტის მოსანიშნი Staedtler Textsurfer Classic turquoise 364-35	ცალი	2	3.2	6.4	30192125
34.	საქაღალდე პლანშეტი პლასტ. PAPIRUS ECONOMIX A4 30153	ცალი	3	3.2	9.6	30192700
35.	საშლელი koh-i-noor კომბინირებული 6541/60 ფანქარი/მელანი 6541060007KD	ცალი	5	0.45	2.25	30192130
36.	ჯამი საკანცელარიო 3 განყ. ლითონის ბადე LY 9205	ცალი	3	24.5	73.5	30192700
37.	კალენდარი მაგიდის ზამბარიანი	ცალი	2	3.5	7	30192700
38.	ლუპა O-60 MG85036 გასაშლელი	ცალი	1	3.5	3.5	30192700
39.	ლუპა O-60მმ. 80540 გასაშლელი	ცალი	1	4	4	30192700
40.	სახაზავი პლასტმასის 30სმ. 24341-1	ცალი	5	0.8	4	30194000
41.	ურნა ნაგვის ლითონის 5001/L დიდი	ცალი	2	10	20	39224330
42.	ელემენტი DURACELL AA-LR6 1.5V Alkaline	ცალი	2	2.5	5	31444000
43.	საათი კედლის PAPIRUS ECONOMIX PROMO 51809	ცალი	2	33	66	30192700
44.	მაგნიტი დაფის 3010	ცალი	1	1.8	1.8	30192700
45.	მაგნიტი დაფის 3510 10ც.	ცალი	1	2.3	2.3	30192700
46.	სახაზავი koh-i-noor 50სმ. 074280100000	ცალი	1	2.7	2.7	30194000
47.	თითის დასასველებელი DELI 9109 (ბურთულით)	ცალი	3	3.5	10.5	30192700
48.	სახაზავების ნაკრები (4ერთეული), ცაციასთვის 075102000000	ცალი	1	5.9	5.9	30194000
49.	სახაზავების ნაკრები პატარა 075095100000	ცალი	1	6.5	6.5	30194000
50.	სტეპლერი DL0738 24/6 26/6	ცალი	1	8.9	8.9	30197320
51.	რვეული A4 96ფ. COTI "იბერია" 0%	ცალი	5	2.6	13	22815000
52.	მარკერი დაფის Staedtler Lumocolor Black 351-9	ცალი	10	2.65	26.5	30192125
53.	მარკერი დაფის Staedtler Lumocolor Red 351-2	ცალი	10	2.65	26.5	30192125

54.	მარკერი დაფის Staedtler Lumocolor Blue 351-3	ცალი	10	2.65	26.5	30192125
55.	საქაღალდე ფაილებით AXENT A4 1200-01-A 100ფაილი. პლასტ. შავი	ცალი	2	20.7	41.4	22852100
56.	საქაღალდე ფაილებით AXENT A4 1280-02-A 80ფაილი. პლასტ. ლურჯი	ცალი	1	18.7	18.7	22852100
57.	საქაღალდე ფაილებით AXENT A4 1280-01-A 80ფაილი. პლასტ. შავი	ცალი	2	18.7	37.4	22852100
58.	საქაღალდე ყუთი პლასტ. PAPIRUS ECONOMIX A4, 20მმ. რეზინით 31401-04	ცალი	2	4.6	9.2	22852100
59.	საქაღალდე ყუთი პლასტ. PAPIRUS ECONOMIX A4, 40მმ. რეზინით 31402-01	ცალი	2	5.2	10.4	22852100
60.	საკანცელარიო დანა AXENT 6501-A 9მმ.	ცალი	1	1.4	1.4	30192700
61.	საკანცელარიო დანის პირი AXENT/DELTA 9მმ. D6523	ცალი	1	0.9	0.9	30192700
62.	კალამი ბურთულიანი DIPLOMAT Equipment blue 10542991	ცალი	1	11	11	30192121
63.	კალამი ბურთულიანი DIPLOMAT Equipment black 10543007	ცალი	1	11	11	30192121
64.	კალამი ბურთულიანი AIHAO BT005 0,8მმ. მეტალი-აკრილი	ცალი	1	5	5	30192121
65.	დაფის საწმენდი AXENT დიდი მწვანე 9805-05-A	ცალი	1	1.6	1.6	39292110
66.	დაფის საწმენდი AXENT დიდი ლურჯი 9805-02-A	ცალი	1	1.6	1.6	39292110
67.	საქაღალდე ფაილებით პლასტ. PAPIRUS OPTIMA 20 ფურც. A4 32118	ცალი	2	3	6	22852100
		სულ ღირებულება			**800,00**	

სსიპ - ანდრია რაზმაძის სახელობის ქალაქ ქუთაისის №41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ:

/ გენადი მარგველაშვილი /

შპს „ორგსერვისი“: /ხ. ნემსაძე/

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ქუთაისი 15 თებერვალი 2022 წელი

ვადასტურებთ სსიპ - ანდრია რაზმაძის სახელობის ქ. ქუთაისის №41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის-თვის **CPV: 22800000; 30100000; 39200000 და 44400000** კოდების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელბასთან დაკავშირებული ჩვენი საქმიანობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

სსიპ - ანდრია რაზმაძის სახელობის ქ. ქუთაისის

№41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის

დირექტორის მ/შ: / გენადი მარგველაშვილი /

შპს „ორგსერვისი“: /ხ. ნემსაძე/

შენიშნა: ხელშეკრულება ხელმოწერილია ელექტრონულად.